გვანცა ბურდული

იოანე ვოსტორგოვის მოღვაწეობის შეფასებისათვის (რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მასალებზე დაყრდნობით)

შესავალი

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია სერიოზული კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. 1905-1906 წლების პოლიტიკური რყევების შედეგად აუცილებელი გახდა, გადახედილიყო ორი საუკუნის განმავლობაში დაგროვილი პრობლემები, რომლებიც სინოდალური მმართველობის სისტემას თან ახლდა. მკვლევარებისთვის კარგად არის ცნობილი პეტრე დიდის მიერ გატარებული საეკლესიო რეფორმის არის და შედეგები. პეტრე დიდის მიერ გატარებულმა რეფორმებმა ძირეულად შეცვალა რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემა. გამონაკლისი ამ შემთხვევაში არც რუსეთის ეკლესია იყო. 1700-1721 წლებში პეტრე დიდმა გაატარა საეკლესიო რეფორმა, რომელსაც არ ჰქონია რაიმე ეკლესიური (თეოლოგიური) საფუძველი, მეტიც, იგი სახელმწიფო (საერო) პოლიტიკით იყო განპირობებული. რეფორმის არსი მდგომარეობდა შემდეგში: უნდა გაუქმებულიყო მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის თანამდებობა, აღარ უნდა მოეწვიათ რუსეთის საეკლესიო კრება, ხოლო ეკლესიის მართვა-გამგეობა უნდა გადასულიყო განსაკუთრებული სასულიერო კოლეგიის ხელში. 1720 წლის 27 თებერვალს პეტრე დიდის მიერ ხელმოწერილი იქნა სასულიერო კოლეგიის დაარსებისა და პროექტ-რეგლამენტის წესდება. სასულიერო კოლეგიის დაარსების საკითხი არ განუხილავს რუსეთის საეკლესიო კრებას. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მისი დაარსება უკანონო იყო. 1721 წლის 25 იანვარს გამოიცა პეტრე დიდის მანიფესტი სასულიერო კოლეგიის რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. 1721 წელსვე სასულიერო კოლეგია გარდაიქმნა უწმიდეს მმართველ სინოდად, რომელიც უშუალოდ მეფეს (1721 წლის 25 ოქტომბრიდან იმპერატორს) ექვემდებარებოდა. რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას უწმიდესი მმართველი სინოდი 1721 წლიდან 1917 წლამდე განაგებდა. ორ საუკუნეზე მეტი (1700-1917 წწ.) რუსეთის ეკლესიას პატრიარქი არ ჰყოლია, არ ფუნქციონირებდა საეკლესიო კრება (გურული, 2007: 83-90).

1905-1907 წლების რევოლუციის პირობებში დიდი ცვლილებები მოხდა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში. შავი და თეთრი სამღვდელოების ნაწილი, მათ შორის ცნობილი მღვდელმთავრები, სასულიერო აკადემიების პროფესორები, ცნობილი მეცნიერები ითხოვდნენ რუსეთის ეკლესიის მართვა-გამგეობისა და სასულიერო განათლების სისტემის რეორგანიზაციას. სულ უფრო პოპულარული ხდებოდა მოთხოვნა პატრიარქობისა და საეკლესიო კრების აღდგენის თაობაზე (გურული, 2007: 5-23).

ქართველი სამღვდელოების მხრიდან 1905-1906 წლებში უკვე ხმამაღლა, ოფიციალურ დონეზე ისმოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის

აღდგენის მოთხოვნა, მხილებული იყო ის, სისტემა და რეჟიმი, რომელიც ამ დროს საქართველოს ეკლესიას მართავდა. განსაკუთრებით კი დიდი უკმაყოფილება ისმოდა საქართველოში მოღვაწე ეგზარქოსების მისამართით.

რუსეთის საიმპერატორო კარი გრძნობდა, რომ საჭირო იყო რეფორმები, მაგრამ მან ისიც კარგად უწყოდა, რომ საეკლესიო რეფორმის გატარება ადვილი არ იქნებოდა, რეფორმას სერიოზული გააზრება და გულდასმით მომზადება სჭირდებოდა. გადაწყდა, რომ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში გასატარებელი რეფორმის პროექტი უნდა მოემზადებინა საგანგებოდ შექმნილ ორგანოს - რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირს (Бычков, 1998: 117-120).

საეკლესიო კრების წინარე თათბირი გაიხსნა 1906 წლის 8 მარტს პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ტაძარში. თათბირი გახსნა პეტერბურგის მიტროპოლიტმა ანტონმა (ვადკოვსკიმ). საეკლესიო კრების წინარე თათბირს დიდი მისია დაეკისრა. მას ბიძგი უნდა მიეცა რუსეთის სულიერი ცხოვრების აღორძინებისათვის. საეკლესიო კრების წინარე თათბირის დასრულების შემდეგ მოწვეული იქნებოდა რუსეთის საეკლესიო კრება. წინარე თათბირზე წამოყენებული იქნა საკითხები, რომელთა გადაჭრაც აუცილებლობას მოითხოვდა. უწმიდესი სინოდის წევრთა და ეპისკოპოსთა აზრით, უმჯობესი იყო, ეს საკითხები შვიდ ჯგუფად გაეყოთ და საეკლესიო კრების წინარე თათბირს მათ განსახილველად შვიდი განყოფილება შეექმნა. თათბირის მონაწილეებს შეეძლოთ თვითონ აერჩიათ, თუ შვიდიდან რომელ განყოფილებაში სურდათ მუშაობა. სულ საეკლესიო კრების წინარე თათბირის მონაწილეთა შორის იყო 10 ეპისკოპოსი და სასულიერო აკადემიებისა და უნივერსიტეტების 21 პროფესორი. თათბირის წევრი იყო უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი ა. დ. ობოლენსკი. როგორც ჩანს, რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირი საკმაოდ ვიწრო შემადგენლობით შეუდგა მუშაობას. შემდეგში თათბირის შემადგენლობა გაიზარდა სასულიერო და საერო პირთა ხარჯზე (Бычков, 1998: 121-124)

რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილება იხილავდა საქართველოს ეკლესიის სტატუსის საკითხსაც. ქართველმა მღვდელმთავრებმა, ეპისკოპოსმა კირიონმა (გიორგი საძაგლიშვილმა) და ეპისკოპოსმა ლეონიდმა (ლონგინოზ ოქროპირიძემ), ცნობილმა მეცნიერებმა, ქართველოლოგებმა ნიკო მარმა, ალექსანდრე ცაგარელმა და ალექსანდრე ხახანაშვილმა როგორც კანონიკური, ისე მეცნიერული თვალსაზრისით დაასაბუთეს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის კანონიერება და სამართლიანობა. რუსმა მეცნიერებმა და სამღვდელოებამ ვერაფერი დაუპირისპირეს ქართველთა ლოგიკურ მტკიცებულებებს. მიუხედავად ამისა, საეკლესიო კრების წინარე თათბირმა მიუღებლად მიიჩნია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. ქართველ სასულიერო პირებთან პოლემიკაში ,,თავი გამოიჩინა“ იოანე ვოსტორგოვმა.

მეთოდი

წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: ისტორიულ-შედარებით, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზისა და სინთეზის მეთოდს.

შედეგები

კვლევის ძირითადი წყაროა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმიდესი სინოდის ორგანო ჟურნალი ,,Церковныя Ведомости", რომელიც თითქმის სრულად აქვეყნებდა საეკლესიო კრების წინარე თათბირის სხდომების სტენოგრამებს, მათ შორის ქართველ მღვდელმთავართა და მეცნიერთა გამოსვლების სტენოგრამებს. აღნიშნული მასალების გაცნობა-დამუშავება ცხადყოფს დეკანოზ იოანე ვოსტორგოვის პოზიციას, მის დამოკიდებულებას არა მარტო საქართველოს ეკლესიისა და ავტოკეფალიისადმი, არამედ მთელი რიგი საკითხებისადმი.

დისკუსია

სანამ უშუალოდ საკვლევ თემას მიმოვიხილავთ აუცილებელია ვრცლად შევეხოთ ი. ი. ვოსტორგოვის პიროვნებას. მღვდელი იოანე ვოსტორგოვი, იყო ღვთისმეტყველების მაგისტრის, ვლადიმირის სასულიერო სემინარიის პროფესორის ალექსანდრე ვოსტორგოვის ვაჟი.

1887 წელს დაამთავრა სტავროპოლის სასულიერო სემინარია.

1887 წლის 15 აგვისტოს დაინიშნა სტავროპოლის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად, ხოლო 30 სექტემბერს იმავე სასწავლებელში რუსული და საეკლესიო სლავური ენების მასწავლებლად განამწესეს.

1889 წლის 1 აგვისტოს სტავროპოლის ეპისკოპოსმა ვლადიმირმა იოანე ვოსტორგოვი ყუბანის ოლქში დიაკვნად აკურთხა, ხოლო 6 აგვისტოს აკურთხეს მღვდლად.

დეკანოზი ვოსტორგოვი 1890 წლის 12 მაისს დაინიშნა ყუბანის ოლქის სამრევლო სკოლის ზედამხედველად.

1893 წლის 24 აგვისტოს სამი წლის ვადით აირჩიეს სტავროპოლის ეპარქიული ქალთა სასწავლებლის საბჭოს წევრად. იმავე წლის 2 ოქტომბერს იგი სტავროპოლის სასულიერო სემინარიის სამმართველოს წევრი გახდა.

1897 წლიდან ცხოვრობდა თბილისში: 17 ივლისს იგი გადაიყვანეს თბილისის ქალთა პირველი გიმნაზიის მასწავლებლად, ხოლო 1898 წლის აგვისტოში ვაჟთა პირველი კლასიკური გიმნაზიის მასწავლებელია.

1901 წლის 6 იანვარს საქართველოს ეგზარქოსის ფლავიანეს (გოროდეცკი) მიერ აღიკვეცა მღვდელმთავრად, ხოლო 1901 წლის 13 თებერვალს ჟურნალ „საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მაცნის" რედაქტორად დაინიშნა.

1901 წლის 21 აგვისტოს, რუსეთის მართლმადიდებლური სასულიერო მისიის საქმეების გასაცნობად და მისიასთან არსებული სკოლების რევიზიისთვის, იგი ქალაქ ურმიაში (ირანი) გაგზავნეს, სადაც 1901 წლის 9 ოქტომბრამდე იმყოფებოდა.

1906 წლის 25 იანვარს მოსკოვის მიტროპოლიტის ვლადიმირის (ბოგოიავლენსკი) ინიციატივითა და სინოდის ბრძანებულებით იოანე

გადაიყვანეს მოსკოვის ეპარქიაში მისიონერ-მქადაგებლად. 1906 წლის მარტიდან კი დეკანოზი ვოსტორგოვი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის წევრია (Древо открытая православная энциклопедия - https://drevo-info.ru/articles/3191.html).

ეს ადამიანი აქტიურად განიხილავდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხს რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე. 1906 წლიდან მოყოლებული რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომებზე იოანე ვოსტორგოვი არაერთხელ ჩაერთო ქართველ სასულიერო პირებთან პოლემიკაში და თავისი მოსაზრება საბოლოოდ მოხსენების სახით ჩამოაყალიბა. რუსი დეკანოზის მოხსენება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს ეხება. მასში არაერთი საკითხია წარმოდგენილი, რომელიც დაკავშირებულია ავტოკეფალიის აღდგენის შესაძლო შედეგებთან, როგორც დადებით, ასევე უარყოფით კონტექსტში. ტექსტი ასახავს ისტორიულ, პოლიტიკურ და რელიგიურ ასპექტებს, რომელიც როგორც მოსალოდნელი იყო ტენდენციურად არის გაშუქებული: ,,დავუშვათ, რომ საერთოდ ყურადღებას არ მივაქცევთ იმ ფაქტს, რომ სრულებით არ არსებობს არც ისტორიული და არც კანონიკური საფუძვლები, რომელიც საშუალებას მოგვცემდა მოგვეთხოვა, თუ როგორ შეიძლება და რა ფორმით მიენიჭოს საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია. ამის თაობაზე ცალკე წარმოვადგენ მოსაზრებებს.... აქ საქმე გვექნება მთელ რიგ ძნელად გადასაწყვეტ საკითხებთან. აქვთ კი ქართველ ხალხს ამის სურვილი? რაში და როგორ გამოხატა მან ეს სურვილი? ეპისკოპოსების ეს მისწრაფება ერთგვარი გატაცებაც კი შეიძლება იყოს. მაგრამ ერთ-ერთი მათგანის განცხადება, რომ იგი ლაპარაკობს მთელი ქართველი ხალხის სახელით, ეს შეუძლებელია მივიღოთ ქართველი ხალხის მიერ მინიჭებულ უფლებამოსილებად, რადგანაც ეპისკოპოსი მხოლოდ ერთ ეპარქიას განაგებს და აქაც არ შეკითხვია მათ და თავისი სურვილები არც კი გაუცვნია ხალხისთვის (Восторгов, 1906: 26). იოანე ვოსტორგოვი აქ მაშინდელ იმერეთის ეპისკოპოსს ლეონიდეს გულისხმობს, რომლის გამოსვლაც რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომებზე ცხარე კამათის საფუძვლად იქცა. ფაქტია, რომ რუსი დეკანოზის მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ ქართველ ხალხს არ აქვს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის გამოხატული სურვილი. მოყვანილია მაგალითები, სადაც ხალხი არ არის დაინტერესებული ეკლესიის დამოუკიდებლობით და არც კი ახსენებს ამ საკითხს. განსაკუთრებით ხაზგასმულია საქართველოში ფართოდ გავრცელებული რელიგიური გულგრილობა: ,,ვერც პეტიციები ისაუბრებენ დიდი უფლებებით ქართველი ხალხის სახელით ეკლესიის ავტოკეფალიაზე, რადგანაც საქართველოში ბევრ ადგილას ხალხი რელიგიის მიმართ მეტად გულგრილია და იმდენად მცირედ არის განვითარებული რელიგიური ურთიერთობები, რომ თუნდაც რომ მოისურვონ, მაინც ვერ ისაუბრებენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის თაობაზე დაბეჯითებით...“(Восторгов, 1906: 26). იოანე ვოსტორგოვს დაავიწყდა ალბათ ის ფაქტი, რომ როდესაც საქმე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას შეეხო, აქვე გაჩნდა კითხვა - სურდა კი ეს ქართველ

ხალხს?!, მაგრამ როდესაც 1811 წელს გაუქმდა მცხეთის, ხოლო 1814 წელს ლიხთ-იმერეთისა და აფხაზთა საპატრიარქო, მაშინ არავის გაახსენდა ეკითხათ ქართველი ხალხისთვის - სურდათ კი მათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება? ,,კახეთსა და ქართლში (სიღნაღის, თელავის, გორის, მაზრებში და დუშეთის მაზრის გარკვეულ ნაწილში) ეკლესიები ძალზე ბევრია, მაგრამ ქართველები ღვთისმსახურებას წელიწადში 2-3 -ჯერ თუ ესწრებიან. ამ მოვლენას ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს და ამასაც ნუ მივაკუთვნებთ რუსეთის საეკლესიო მმართველობის მხრიდან უარყოფითი ზეგავლენის მიზეზთა რიცხვს. ანტიოქიის მართლმადიდებელი პატრიარქი მაკარი, რომელიც საქართველოში XVII საუკუნის 50-იანი წლებში ორი წლის განმავლობაში ცხოვრობდა, ასაბუთებდა, რომ ქართველები ნაკლებად სტუმრობდნენ ტაძრებს და ღვთისმსახურებისადმი მეტად გულგრილნი იყვნენ“. (Восторгов, 1906: 26). იოანე ვოსტორგოვი არამართებულად იყენებდა არქიდიაკონ პავლე ალეპოელის ცნობებს ანტიოქიის პატრიარქ მაკარის საქართველოში მოგზაურობის თაობაზე. პატრიარქ მაკარის არა-ფერი უთქვამს საქართველოს ეკლესიის დაკნინების საკითხზე. პირიქით, საგრძნობი იყო პატრიარქის პატივისცემა საქართველოს ეკლესიისა და ქართველი ერისადმი (Восторгов, 1906: 3) ფაქტია, რომ დეკანოზ ვოს-ტორგოვს არ სურდა ჭეშმარიტების აღიარება - საქართველოს ეკლესიის ყოფა გაუარესდა რუსეთთან შეერთებისა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, საქართველოს ეკლესია არ კეთილდღეობდა სინოდალური მმართველობის დროს, თუმცა რუსი დეკანოზი ამის საპირისპიროს ამტკიცებდა - ,,რუსეთთან შეერთებამდე, ქართველთა საზოგადოებაში ხშირი იყო მაჰმადიანობაზე გადასვლა, ნებაყოფლობით კათოლიკობასაც იღებდნენ, რაც მთელი ამ ხნის მანძილზე არც ერთხელ არ მომხდარა სომხეთში და არც ბერძნებში. მართლმადიდებლური რწმენა საქართველოში მხოლოდ რუსეთთან შეერთების შემდეგ გაძლიერდა. ადრინდელ დროში, როცა საქართველოს ეკლესია დამოუკიდებელი იყო, სამღვდელოების გავლენა უფრო დიდი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ეხლა არის, მაშინ ასე უნდა ყოფილიყო წესით. არადა, პირიქით მხოლოდ რუსეთის ეკლესიასთან შეერთების შემდეგ შეძლო საქართველოს ეკლესიამ წელში გამართვა და მართლმადიდებლური ტაძრების ნანგრევებიდან წამოდგომა“ (Восторгов, 1906: 27). იოანე ვოსტორგოვი ამ შემთხვევაშიც ძალიან ცდება. მისი ეს ფრაზა წარმოადგენს ისტორიულად გამარტივებულ და ნაწილობრივ არაზუსტ მტკიცებულებას, რომელიც არ ითვალისწინებს კავკასიის რეგიონში რელიგიური კონვერსიის კომპლექსურ პროცესებს. ასეთი ისტორიული შედარებები საჭიროებს უფრო მეტ კონკრეტიკას და ახსნას - რის საფუძველზე აკეთებს რუსი დეკანოზი ამ დასკვნებს... ფაქტია, რომ ქართველების მიერ სარწმუნოების შეცვლა მართლაც ხდებოდა, მაგრამ ეს უმეტესად იყო არა ,,ნებაყოფლობითი“ აქტი, არამედ ოსმალეთის იმპერიის მიერ დამკვიდრებული პოლიტიკის შედეგი, განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოში. სარწმუნოების შეცვლა ხშირად უკავშირდებოდა გადასახადებისგან განთავისუფლებას, სოციალურ სტატუსის მოპოვებას და ა.შ. არასწორია აღნიშნული პროცესების შედარება

სომხებთან და ბერძნებთან. ეს მტკიცებულებაც ისტორიულად არაზუსტია. სომხური და ბერძნული მოსახლეობის ნაწილიც ოსმალეთის იმპერიის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე ისლამიზაციას ექვემდებარებოდა. მისი მოსაზრება ემსახურება კონკრეტულ ნარატივს - რუსეთის წარმოჩენას ,,მხსნელად" და ,,მართლმადიდებლობის დამცველად". ეს პოზიცია მიზნად ისახავდა რუსეთის იმპერიის პოლიტიკური ინტერესების გამყარებას კავკასიაში. ისტორიული ფაქტებიდან გამომდინარე რეალობა გაცილებით რთულად იყო: საქართველოს ეკლესია დამოუკიდებლობის პერიოდში ფლობდა მნიშვნელოვან სოციალურ და კულტურულ როლს, მაგრამ ხშირად ზიანდებოდა მუდმივი შემოსევების გამო. რუსეთთან შეერთების შემდეგ შეიძლება ეკლესია ფიზიკურად გადარჩა, მაგრამ ამავდროულად: დაკარგა ავტოკეფალია (თვითმწყემსობის უფლება); ქართული ენა განიდევნა ღვთისმსახურებიდან; მასიურად გაიძარცვა საქართველოს ეკლესია.

ფაქტი იყო, რომ ისტორიული ჭეშმარიტება სრულიად სხვა რამეზე მეტყველებდა და ეს რუსეთის საეკლესიო კრებაზე მყოფმა პირებმა ძალიან კარგად უწყოდნენ. იცოდნენ, მაგრამ არ აღარებდნენ, რომ: საქართველოს ეკლესიას რუსი ეგზარქოსები მართავდნენ თავიანთი უღირსი ფავორიტების მეშვეობით; 2. თრგუნავდნენ ყოველივე ქართულს, ეროვნულს, დევნიდნენ ყველაფერს: საქართველოს ეკლესიის წმიდა ტრადიციებს, რიტუალებს, რომლებსაც ეკლესია ინახავდა ქრისტიანობის გავრცელების პირველივე საუკუნეებიდან; 3. სპობდნენ წმიდა ეკლესიის სიძველეებს; 4. მათი ქმედებების გამო ეგზარქოსები ვერ სარგებლობდნენ ქართველი საზოგადოების ნდობით; 5. ყოველივე ზემოთქმულის გამო ქართველმა სამღვდელოებამაც დაკარგა მრევლის ნდობა; 6. სასულიერო განათლების სფეროში ძირითადად რუსები მოღვაწეობდნენ; 7. სასულიერო სემინარიებსა და სასწავლებლებში დაეცა განათლების დონე; 8. 1883 წლამდე საქართველოს სასულიერო სემინარიასა და სასწავლებლებში ქართული ენა არ ისწავლებოდა, რის გამოც მომავალი ქართველი სამღვდელოება ვერ ფლობდა მრევლისათვის გასაგებ მშობლიურ ენას; 9. მოძღვრები ღებულობდნენ არასაეკლესიო განათლებას, ხოლო სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულთაგან იშვიათად თუ ხდებოდა ვინმეს მღვდლად კურთხევა; 10. სამღვდელო ხარისხის მატარებელნი უღირსი საქციელით არა მარტო მრევლის, არამედ საზოგადოების არაეკლესიური ნაწილის აღშფოთებასაც კი იწვევდნენ (ბურდული, 2012: 33). იოანე ვოსტორგოვს ამ შემთხვევაშიც გასამართლებელი საბუთი ჰქონდა: ,,თუკი, ჩვენი მღვდელმსახურები ხალხს ადანაშაულებენ სასულიერო წოდებისადმი უპატივცემულობაში, მაშინ ისინი ამით თავის თავს ამტყუნებენ. ეკლესია იმართება წმიდა სინოდის მეშვეობით და უმრავლესობა მღვდლებისა, ბლაღოჩინებისა და ეპისკოპოსებისა - თქვენი ქართველებია, რომლებიც ყოველთვის არ იქცევიან ისე, როგორც შეჰფერის მართლმადიდებლური ეკლესიის ჭეშმარიტ წევრებს" (Восторгов, 1906: 27). რუსი დეკანოზი ამ შემთხვევაშიც მიკერძოებულია, როდესაც ის გამოყოფს ქართველ სამღვდელოებას და მათ როგორც ,,სხვას", ,,უცხოს" უწოდებს. დაავიწყდა ალბათ, რომ ოფიციალურად ქართველი და რუსი სასულიერო პირები

ერთი ეკლესიის წევრები იყვნენ. აღნიშნულ ფრაზაში კი - ,,არ იქცევიან ისე, როგორც შეჰფერის მართლმადიდებლური ეკლესიის ჭეშმარიტ წევრებს" მართებული იქნებოდა აღენიშნა ქართველი სამღვდელოების ეროვნულ მისწრაფება, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდიოდა რუსიფიკატორულ პოლიტიკასთან.

იოანე ვოსტორგოვი თვლიდა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა მარტივი საქმე არ იყო, ამას გარდა უნდა გათვალისწინებულიყო ის ფაქტიც, რომ ასეთ შემთხვევაში რუსეთის მხრიდან შეწყდებოდა მატერიალური დახმარება, რაც ჩვენი ეკლესიის არსებობას საფრთხეს შეუქმნიდა. ის მატერიალური რესურსი კი, რომელიც საქართველოს ეკლესიას გააჩნდა არასაკმარისი იქნებოდა მისი სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის (Восторгов, 1906: 26). ,,საქართველოს ეკლესიის გამოყოფის შემდეგ, თავისთავად რუსეთი აღარ დაუჭერს მხარს საქართველოს ეკლესიას და უკვე, ქართველმა ხალხმა თვითონ უნდა შეინახოს მატერიალურად თვისი ეკლესია (როგორც ეს არის დღემდე სომხეთში). და აი, ხალხი კი ისეთი გაჭირვებულია, რომ მათ ძალებს ძალზედ აღემატება ეს ახალი მოვალეობა... რომელი მატერიალური საშუალებებით მოხდება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შენახვა? სახელმწიფო ხაზინიდან შემწეობის შეწყვეტის შემდეგ, გარდაუვალია, რომ იგი სავალალო მდგომარეობამდე მივა. ამას რაღა თქმა უნდა ვერავინ უარყოფს. ამასთანავე, ვერც კრება, ვერც კრების წინარე თათბირი და ვერც მით უფრო მისი მეორე განყოფილება თავდებში ვერ დადგება იმის თაობაზე, რომ რუსეთის მთავრობა საქართველოს ეკლესიას, ცალკე გასვლის შემდეგ, ამჟამინდელ სახელმწიფო დახმარებას შეუნარჩუნებს... მაღალსამღვდელო კირიონი ხშირად იმეორებს, რომ საქართველოს ეკლესიას უნდა დაუბრუნდეს ჩამორთმეული მამულები და ამის შემდეგ იგი შეძლებს სახელმწიფოს დახმარების გარეშეც არსებობას. მაგრამ იმაზე კი აღარ საუბრობს, რომ თვითონ ეს საკითხის ეკლესიის კომპეტენციაში არ შედის. თავის მხრივ რუსეთის ეკლესია უფლებამოსილია განაცხადოს, რომ იმ საეკლესიო ქონების ნაცვლად, როდესაც იგი თავის დროზე იქნა ჩამორთმეული საქართველოს ეკლესიისათვის უნდა გადაეხადა წელიწადში 70. 000. რუბლი. აი, ამის სანაცვლოდ კი 1. 200. 000. რუბლს იხდიან. ეს ყველაფერი კომერციული გაანგარიშებით იმას ნიშნავს, რომ ჩამორთმეული ქონების (კაპიტალის) სამაგიერო ღირებულება, მსგავსი პროცენტული თანაფარდობით დიდი ხანია დაფარულია" (Восторгов, 1906: 28). დეკანოზი ვოსტორგოვი ამ შემთხვევაშიც რუსეთის იმპერიის პოზიციას იცავს, მაგრამ მისი არგუმენტაცია რამდენიმე პრობლემას შეიცავს: ვოსტორგოვი ამტკიცებს, რომ საეკლესიო ქონების საკითხი ,,ეკლესიის კომპეტენციაში არ შედის", რაც კანონიკური სამართლის თვალსაზრისით სადავოა. ისტორიულად, ეკლესიას ჰქონდა უფლება თავისი ქონება თვითონ განეკარგა. რუსი დეკანოზი ქონების გაანაგრიშების დროს არ ითვალისწინებს რუსეთის იმპერიის მიერ ამ ქონებიდან მიღებული შემოსავლის ღირებულებას. სოხუმის ეპისკოპოსის კირიონის მოთხოვნა არა მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ ეკლესიის თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით იყო განპირობებული.

ეკლესიის კუთვნილი მამულების დაბრუნება არა მხოლოდ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას ნიშნავდა, არამედ ისინი წარმოადგენდნენ ისტორიულ, კულტურულ და სულიერ მემკვიდრეობას.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, რომ უარყოფითად გადაწყდებოდა ეს თავიდანვე ცხადზე ცხადი იყო. იოანე ვოსტორგოვი ამ საკითხზე მსჯელობის დროს არ ერიდება ქართველი სასულიერო პირების ,,მხილებას“: ,,ამრიგად ისმის კითხვა - მაშ, რომელ ხალხს სურს საქართველოში ეკლესიის ავტოკეფალია? რაღა თქმა უნდა სასულიერო პირთა ნაწილი, ინტელიგენციის ნაწილი თანახმაა ეპისკოპოსთა მიერ წარმოდგენილი პეტიციებისა. ეს ხმები ჩვენამდე აღწევს... რატომ არის, რომ იმერეთის ეპისკოპოსი ავტოკეფალიას დაეძებს და თანაც აცხადებს, რომ იგი მთელი ხალხის სახელით მოქმედებს, ხოლო აი მეზობელი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, მაღალსამღვდელო დიმიტრი, ასევე ქართველი, პირიქით აცხადებს, რომ ხალხს არანაირი ავტოკეფალია არ სურს და მათთვის ასეთი ნაბიჯი ყოველთვის დამღუპველი იქნება. მაშ, რომელია ამათგან მართალი? და რომელი საუბროს ,,ხალხის სახელით?“. მაღალსამღვდელო კირიონი კი, როდესაც ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნის შემოსული პეტიციები განიხილებოდა, საერთოდ არ ყოფილა საქართველოში (1902 წლიდან) და ამჟამადაც საქართველოში არ არის (1906 წლიდან). იგი აფხაზეთში იმყოფებოდა, როდესაც მიმდინარე წლის იანვრის თვეში პეტერბურგში განიხილებოდა ავტოკეფალიის შესახებ საკითხი...“ (Восторгов, 1906: 29).

რუსი დეკანოზი ამ შემთხვევაშიც ცდება. ვისთვის თუ არა მისთვის ყველაზე უკეთ უნდა ყოფილიყო ცნობილი ეპისკოპოს კირიონი საქართველოში არ ყოფნის მიზეზი. კირიონ საძაგლიშვილის დევნა ხომ საქართველოდან გადასახლებით დაიწყო. უხერხულია ასევე იოანე ვოსტორგოვის მიერ დიმიტრი აბაშიძესა და ეპისკოპოს კირიონის შედარება. მან ძალიან კარგად უწყოდა ქართველების დამოკიდებულება დიმიტრი აბაშიძისადმი და თავად დიმიტრი აბაშიძის დამოკიდებულება საქართველოს ეკლესიისადმი. ეს ის ქართველი მღვდელია, რომელიც რუსეთის სინოდის პირდაპირი ანტიქართული პოლიტიკის გამტარებლები იყო. ეს ის დიმიტრი (დავით) აბაშიძეა, რომელიც 1905 წლის რევოლუციის დროს, იმისათვის, რომ ქართველი საზოგადოების რისხვა აეცილებინა, ჩოხაში გადაცმული გაიქცა რუსეთში!: ,,რად ღირს თუნდაც ეპისკოპოს დიმიტრი (დავით) აბაშიძის მაგალითი, რომელიც განთქმული იყო ანტიქართული გამოსვლებით და რომელიც ფარულად სწერდა სინოდს იმის შესახებ, რომ საერთოდ უნდა აკრძალულიყო ქართული წიგნების ბეჭდვა და წირვა-ლოცვა, რადგან ქართულ ნაწერებში ბევრია ღვთისმგმობელი და სეპარატისტული აზრებიო?. კერძო წერილში, კირიონი დიმიტრი აბაშიძეს ასე ახასიათებდა: „რძენაწყენი რენეგატი დიმიტრი აბაშ-ოღლი...” (კირიონის ფონდი M167). იოანე ვოსტორგოვი თავის მოხსენებაში შეგნებულად აღნიშნავს, რომ კირიონი საქართველოში არაა და აფხაზეთში იმყოფება. ცხადია, რომ ისტორიული საქართველოს სხვადასხვა კუთხეების განცალკევებულად წარმოჩენა და მათი საერთო ქართული იდენტობისგან

გამიჯვნა ,,გათიშე და იბატონე“ პოლიტიკის ნაწილი იყო. ვოსტორგოვის მტკიცება, რომ ,,აფხაზეთი საქართველო არ არის“, იმპერიული ნარატივის ნაწილი იყო, რომელიც ისტორიულ ფაქტებს ეწინააღმდეგებოდა. მისი პოზიცია პოლიტიკური მოტივებით იყო გაჯერებული და მხოლოდ ერთ რამეს ისახავდა მიზნად - შეესუსტებინა ქართული ეროვნული იდენტობა და გააძლიერებინა რუსეთის გავლენა რეგიონში.

დეკანოზი იოანე ვოსტორგოვი თავის მოხსენებაში ეპისკოპოსი კირიონის კრიტიკასაც არ მოერიდა. ქართველი მღვდელმთავარი განაქიქა იმ ქმედების გამო, რასაც თვითონ რუსი სასულიერო პირები ქართულ სამრევლოებში აკეთებდნენ: ,,ეპისკოპოსმა კირიონმა რუსულ სამრევლოებში მსახურებისათვის ქართველი მღვდლები გააგზავნა. ის ბრძანებაც კი გამოქვეყნდა, რომ სოხუმის საკათედრო ტაძრის დარაჯებადაც კი ქართველები იყვნენ შერჩეულნიო. ეპისკოპოს კირიონს დიდხანს არ ჰქონდა სურვილი რუსი ეროვნების ადამიანი მიეღო მდივნად კანცელარიაში. მხოლოდ მას შემდეგ დასთანხმდა მასთან შეხვედრას, რაც საქმეში ზემდგომნი ჩაერივნენ. ადგილობრივი სასწავლო საბჭოს წევრებისგან, ეპისკოპოსმა კირიონმა რუსი წევრების განთავისუფლება დაიწყო და მათ ისევ ქართველებით ცვლიდა... ეპისკოპოს კირიონისვე ბრძანებულებით, ადგილობრივ სკოლებში შემოღებული იქნა ქართული სახელმძღვანელოები... ეს სახელმძღვანელოები ისეთი სახით იყო შედგენილი, რომ აფხაზები, მეგრელები და სამურზაყანოელები, რომლებიც რუსულ ენას სწავლობდნენ, ყველაფერი ახლიდან უნდა დაეწყოთ და თავიდან გადასულიყვნენ ქართულ ენაზე, რომელიც მათ არ ესმით და არც იციან... ეპისკოპოსმა კირიონმა ბრძანება გასცა, რომ რუსული ენის სახელმძღვანელოდ შემოტანილი ყოფილიყო მისივე თანამემამულის, ბატონ გოგებაშვილის შედგენილი წიგნი“ (Восторгов, 1906: 30). დეკანოზ იოანე ვოსტორგოვის გამოსვლა მიზნად ისახავდა სამხრეთ კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში არსებული ვითარების რუსეთისათვის სასარგებლოდ წარმოდგენას. იოანე ვოსტორგოვი არც ისე გაუნათლებელი იყო, რომ არ სცოდნოდა შემდეგი: სამურზაყანოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას იმ დროისათვის (XX საუკუნის დამდეგისათვის) მეგრელები ანუ იგივე ქართველები იყნენ. რაც შეეხება აფხაზების და მეგრელების მოხსენიებას ცალ-ცალკე, ვოსტორგოვი ამით ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მეგრელები ისეთივე არაქართველები არიან, როგორც აფხაზები. ამ დროისათვის (XX საუკუნის დამდეგისათვის) რუსეთის საიმპერატორო კარს საკმაოდ დიდი მუშაობა ჰქონდა ჩატარებული იმ მიზნით, რომ სამეგრელოში სალიტურგიო ენად მეგრული დაემკვიდრებინა, ხოლო სამურზაყანოს ქართველ მოსახლეობას სკოლაში მეგრულ ენაზე მიეღო განათლება. რუსები ცდილობდნენ, რომ აფხაზებს, რომელთაც აფხაზური ენა არ იცოდნენ, სასკოლო განათლება ან რუსულად, ხოლო, უკიდურეს შემთხვევაში, მეგრულად მიეღოთ. ამ პოლიტიკის საერთო მიზანი იყო სამეგრელოდან და აფხაზეთიდან ქართული ენის, როგორც სალიტურგიო ენის განდევნა და მისი ჩანაცვლება რუსულით. აღარაფერს ვამბობთ იოანე ვოსტორგოვის მიერ დაშვებულ ზოგიერთ წვრილ-წვრილ „უზუსტობებზე“.

ავტოკეფალიის მოთხოვნამ ძალზე შეაშინა და დააბნია მეორე განყოფილების სხდომების მონაწილე რუსი პროფესორები და სასულიერო პირები, რომლებიც ცდილობდნენ წვრილმან დეტალებზე კამათით დაეჩრდილათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. ცხადი იყო, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა სრულად ეწინააღმდეგებოდა რუსეთის პოლიტიკას. ეს იოანე ვოსტორგოვს არც დაუმალავს საეკლესიო კრების წინარე თათბირის სხდომაზე: ,,თუ ზემოთ თქმულს დავეთანხმებით, ჩვენ არანაირად არ გვსურს ეკლესიათა განცალკევება და ჩვენვე სასულიერო ხელისუფალთ ვთხოვთ რათა, ჩვენივე უღირსი წინამძღვრები (მოძღვრები) შეცვალონ, რომელთაც ასე ძალიან სურთ გამოყოფა და ჩაანაცვლონ - ღირსეულებით“ (Восторгов, 1906: 32).

სასულიერო პირების ჩანაცვლება, მათთვის სამოღვაწეო ეპარქიების შეცვლა უფრო მარტივი იყო ვიდრე ისტორიული ჭეშმარიტების აღდგენა, რასაც მთელი არსებით ეწინააღმდეგებოდა იოანე ვოსტორგოვი. მართლია 1906 წელს ვერ მოხერხდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, მაგრამ ის ფაქტი, რომ რუსეთის საეკლესიო კრების მეორე განყოფილების სხდომა განიხილავდა ჩვენი ეკლესიისთვის სასიცოცხლო საკითხს ეს იყო უდიდესი მოვლენა. მხოლოდ 1906 წელს გახდა შესაძლებელი ოფიციალურ დონზე დასმულიყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი, რომელი 1917 წლის 25 მარტს დაგვირგვინდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

ბურდული, გ. (2012). *საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე.* წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. თბილისი: გამომცემლობა ,,უნივერსალი“.

გურული, ვ. ვაჩნაძე, მ. (2007). *რუსეთის ეკლესიის ისტორია.* ნაწილი პირველი (988-1801. პროფ. ვახტანგ გურული რედაქციით.). თბილისი. „თსუ-ს გამომცემლობა“

საქართველოს ისტორია. XX საუკუნე (2003). პროფ. ვახტანგ გურულის რედაქციით. თბილისი. გამომცემლობა ,,არტანუჯი“.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონის ფონდი, M617.

Восторгов И. (1906). საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. „Церковныя Ведомости“, №47, 26-32. Санкт-Петербу́рг.

ინტერნეტ რესურსები/Internet resources

Древо открытая православная энциклопедия - https://drevo-info.ru/articles/3191.html (Accessed: 29 September 2025).

Gvantsa Burduli

FOR THE EVALUATION OF IOANE VOSTORGOV'S ACTIVITY (BASED ON THE MATERIALS OF THE PRE-COUNCIL MEETING OF THE RUSSIAN ECCLESIASTICAL ASSEMBLY

Abstract

The history of Georgia has involved largely antagonistic figures such as Archpriest Ivan Vostorgov, a student of Vasily Velichko and an "ardent Russian patriot". The Russian archpriest was distinguished for his personal unfavourable attitude towards the Georgian Church and the issue of its autocephaly, attempts of persecution of the Georgian language, and his general hatred of Georgian people.

During the period preceding the Russian Ecumenical Council (March-December 1906), the activities of Georgian priests (Bishops Kirion and Leonid) and scholars (Niko Mari, Alexander Tsagareli, Alexander Khakhanashvili), in particular, their disputes with the Russian clergy (both bishops and priests) and scholars (notable researchers of church law and history), would become a crucial part of materialization of the autocephaly of the Georgian Apostolic Orthodox Church. Archpriest Ivan Vostorgov was one of the people who was heavily involved in the dispute.

The paper aims to reevaluate the activities of Ivan Vostorgov who explicitly opposed the issue of restoring the autocephaly of the Georgian Church and had many attempts to falsify the historical facts with his speeches, based on the materials of the pre-council meeting in Russia.

Keywords: Pre-conference of the Russian Ecclesiastical Assembly, Ivan Vostorgov.